ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2657215

ნომერი: AR1411116

თარიღი : 09.06.2016

გაცემის თარიღი : 17.06.2016

გაცნობის თარიღი : 20.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პავლე ასლანიდი , N 13ა , ქუჩა ბერბუკი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ღვინაძე პ/ნ 01031000590
- მუხიანი, 2 მ/რ, კორპ.22, ბინა 56

ორგანიზაცია:

- გლობალფარმი კოდი: 202242199

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

მეტი თვალსაჩინოებისთვის საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა სარეკონსტრუქციო არეალის დატანით, გაითვალისწინეთ რომ: თუ კოდიციონერის გარე აგრეგატის მოწყობა ხდება ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, წარმოდგენილი სახით ფასადზე კონდენციონერის განთავსება არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაძლებელია მისი მოწყობა განხორციელდეს ეზოს მხრიდან, შენობის უკანა ფასადზე, ისე, რომ მისი ხილვადობა ნაკლებად თვალსაჩინო იქნება, ეზოს მხარეს მოწყობილი კონდიციონერის გარე აგრეგატი შესაძლებელია შეიფუთოს თანამედროვე მასალებით შესრულებული თანამედროვე დიზაინის ფასადთან მისადაგებული არქიტექტურული ელემენტით, აღნიშნულის გათვალისწუნებით დაკორექტირდეს ფოტომონტაჟი.

ასევე მოგახსენებთ, გაურკვევევლია სამსახურსთვის თქვენი, განმცახდებლის უფლებამოსილება, მაშინ როცა საპროექტო ფართის მესაკუთრეა შპს „W/M ინვესმენთი“, ხოლო მოიჯარე „გლობალფარმი“, მოგახსენებთ რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.